

„საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი გვარი

თარიღი.....2017

7 კლასი

1) გაამარტივეთ გამოსახულება: $\frac{1}{5}a + \frac{3}{5}a + \frac{4}{5}a$

ა) $\frac{8}{5}a$

ბ) $\frac{12}{125}a$

გ) $\frac{5}{8}a$

დ) 1

2) ანას, იას და მარის დაბადების დღეზე სხვადასხვა ფერის კაბები ეცვათ. ერთს ეცვა ყვითელი კაბა, მეორეს ლურჯი, მესამეს კი – წითელი. ცნობილია, რომ იას არ ეცვა არც წითელი და არც ყვითელი კაბა. ასევე ცნობილია, რომ მარის ეცვა ყვითელი კაბა. რა ფერის კაბა ეცვა ანას?

ა) წითელი ბ) ყვითელი გ) ლურჯი დ) ამის გაგება შეუძლებელია

3) მომღერალთა ჯგუფში 80 მოსწავლეა, რომელთა $\frac{2}{5}$ ბიჭია, დანარჩენი გოგონა. რამდენი გოგონაა ჯგუფში?

ა) 60

ბ) 32

გ) 48

დ) 41

4) თავდაპირველად თომამ ყუთიდან 4 წითელი ბურთი ამოიღო. შემდეგ იგი ყოველ ამოღებაზე ორ ბურს იღებდა, რომელთაგან 1 ყვითელი იყო 1 კი წითელი. რამდენი წითელი ბურთია თომას მიერ ამოღებულ ბურთებს შორის, თუ ცნობილია, რომ მან სულ 16 ბურთი ამოიღო ?

ა) ოთხი

ბ) ექვსი

გ) რვა

დ) ათი

5) გამოიანგარიშეთ 12-ის 0,7 ნაწილი.

ა) 9,2

ბ) 8,4

გ) 15

დ) 18

6) აღმოჩნდა, რომ ხუთი გოგონადან: ნათია, ხათუნა, ეკა, თამრო და სოფო თითოეული მეგობრობს დანარჩენებთან რომელიღაც ორთან. ცნობილია, რომ მეგობრობენ ნათია და ეკა, ხათუნა და სოფო, თამრო და ეკა, სოფო და ნათია. რომელ ორ გოგონასთან მეგობრობს ხათუნა ?

ა) სოფოსა და ნათიასთან

გ) სოფოსა და ეკასთან

ბ) სოფოსა და თამროსთან

დ) ამის გაგება შეუძლებელია

7) იპოვეთ 70-ის 19%

ა) 13,3

ბ) 25,1

გ) 1,33

დ) 26,7

8) ნათია და კოტე ერთ სახლში ცხოვრობენ. ნათია მეცხრე სართულზე ცხოვრობს, კოტე კი - ნათიაზე 3 სართულით ზემოთ. რამდენსართულიანია ეს სახლი, თუ კოტეს ბინა ზემოდან მეოთხეა ?

ა) ათსართულიანი

გ) თხუთმეტსართულიანი

ბ) ცამეტსართულიანი

დ) თექვსმეტსართულიანი

9) ტომარაში 55 კგ შაქარია. იგი უნდა გადანაწილდეს პაკეტებში, თითოეულში 2,5 კგ-ის ოდენობით. რამდენი ასეთი პაკეტი მიიღება?

ა) 15

ბ) 17

გ) 20

დ) 22

10) გია, გოგა, თემო, კოტე, ლია, ნატო, ნინო და ეკა მეგობრები არიან. ოთხი მათგანი დაიბადა ქალაქ ფოთში, დანარჩენი ოთხი კი - ქალაქ თელავში. ცნობილია, რომ გია არ დაბადებულა იმ ქალაქში, რომელშიც დაიბადნენ კოტე და ლია. ასევე ცნობილია, რომ ეკა და ნინო ერთსა და იმავე ქალაქში დაიბადნენ, ერთსა და იმავე ქალაქში დაიბადნენ ნატო და ნინოც. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ არ დაბადებულა იმ ქალაქში, რომელშიც დაიბადა გია?

ა) გიგა

ბ) წკა

გ) ნუნი

დ) ნარი

11) გამოიანგარიშეთ: $\left(\frac{1}{2} + 2\frac{1}{2}\right) : 7 - \frac{1}{2} - \frac{2}{3} + \frac{1}{3}$

12) ამოხსენით განტოლება: $\frac{3x - 1,5}{8} = \frac{1}{2}$

13) წისქვილში 3 სთ-ში 27ტ ხორბალი დაფქვეს. რამდენი ტონა ხორბლის დაფქვა შეიძლება 8სთ-ში, თუ მუშაობის ტემპი არ შეიცვლება?

14) სამკუთხედის ერთი გვერდი 60 მ-ია, მეორე მის 80%-ს შეადგენს, ხოლო მესამე 6 მ-ით გრძელია მეორეზე. გამოთვალეთ სამკუთხედის პერიმეტრი.

15) მართკუთხედის ფორმის პარკის სიგრძე მის სიგანეზე 400მ-ით მეტია, ამასთან სიგრძისა და სიგანის შეფარდება 5:3 შეფარდების ტოლია. რა მანძილს გაივლის ფეხით მოსიარულე, თუ ის პარკს გარშემო შემოუვლის?